„ჯოჯა ჯოლა ბოთლეhს ჯოhჯია“
გილოცავთ შობასა და ჯალანდას!

მისამართი: ქ. ოზურგეთი, ი. პეტრიწის ქ. №3 (რ)

ძვირფასო ოზურგეთელებო!

გილოცავთ, შობას, კალანდას, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, სიხარულსა და ბედნიერებას, ყოველივე საუკეთესოს როგორც პირად, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში!
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა. (ო)

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. №2 (10143), 11 იანვარი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

საშობაო ალილო ოზურგეთში

ქრისტეშობის დღესასწაულზე ქალაქ ოზურგეთში ტრადიციული საშობაო მსვლელობა – ალილო გაიმართა. რიტუალი ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრიდან 12 საათზე დაიწყო. მსვლელობას წინ სასულიერო პირები მიუძღვოდნენ. ქალაქის ქუჩებში სიმღერით მიმავალ ალილოს მლოცველებს შეჭირვებულთა დასახმარებელ შემოწირულობებს აწვდიდნენ ქალაქის კვების ობიექტების, იუსტიციის სახლის, სამხარეო პოლიციის, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის, ქალაქ ოზურგეთის კულტურის ცენტრის წარმომადგენლები, უპოვართა სასადილოს ბენეფიციარებიც კი.

საშობაო ალილოს მსვლელობის მონაწილეებს ქალაქის მერიის ადმინინისტრაციული შენობის წინ ტკბილეულით სავსე კალათებით შეეგებნენ: ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი, ბეგლარ სიორიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, ვიცემერი ალეკო ბურჭულაძე და მერის მოადგილე კობა დუნდუა, ქალაქის ხელმძღვანელობის სხვა პასუხისმგებელი პირები.

აქვე, სამხარეო ადმინისტრაციის შენობასთან ალილოს მონაწილეობს საშობაო ძღვენი გადასცეს გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

საშობაოდ მიღებული საჩუქრები ბავშვთა სახლებსა და მოხუცთა თავშესაფრებში გადანაწილდება.

ალილო საქართველოში სათავეს V-VI საუკუნეებიდან იღებს. მივიწყებული ტრადიცია საქართველოში 15 წელია აღდგა და საყოველთაო დღესასწაულის სახე მიიღო. ყოველი წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე ალილოს მსვლელობაში ათასობით მართლმადიდებელი მონაწილეობს.

ჩვენი ოზურგეთელები!
გილოცავთ შობასა და ჯალანდას! გისურვებთ ყველა იმედის გამართლებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას!

გოჩა კილაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნების“ თავმჯდომარე (ლ)

დავით სიხარულიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი (ლ)

შალვა კონჯარია,
ა (ა) იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის“ დირექტორი (ლ)

გაზეთი „ალიონი“ სარედაქციო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ქალაქის მერიამ 51 უბინაოს კეთილმოწყობილი ბინა გადასცა

ალიონი. გასულ პარასკევს ქალაქ ოზურგეთის მერიაში ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკაროთა, ასევე ყოფილ საავადმყოფოს შენობაში თვითნებურად შესახლებულ მოქალაქეთა აღრიცხვის, შერჩევის, მათზე საცხოვრებელი ფართის გადაცემის და შემდგომი მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილი სამუშაო ჯგუფის სხდომა გაიმართა. სხდომას სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე კობა დუნდუა უძღვებოდა. სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები, ქ. ოზურგეთის მერი ბეგი სიორიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე.

სხდომამ კონკრეტულ პირებზე ბინების გადაცემის საკითხი განიხილა. როგორც აღინიშნა, ქალაქის მერიას ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა უსახლკარო ოჯახებმა, ასევე, აღნიშნულ შენობაში თვითნებურად შესახლებულმა მოქალაქეებმა, ბინით დაკმაყოფილების მოთხოვნით ოფიციალურად მომართეს, რის საფუძველზეც მერიის შესაბამისი კომისიის მიერ შესწავლის შედეგად საცხოვრებელ ფართს შშმ პირები, მარტოხელა მრავალშვილიანი ოჯახები, მარტოხელა პენსიონერები, მარჩენალდაკარგულები, სტიქიის შედეგად დაზარალებულები და მარტოხელა დედები მიიღებენ.

ქალაქ ოზურგეთის ყოფილი სამშობიარო სახლის გარემონტებულ შენობაში 51 ოჯახს (ან ინდივიდს) გადაეცემა ბინა.

ქალაქის მერმა აღნიშნა, რომ შენობა კაპიტალურად შეკეთდა, აქვთ ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი ბინები, რომლებიც სულადობის მიხედვით გადაეცემათ მოქალაქეებს.

ერთ-ერთმა მოქალაქემ, მარენ რაისამ უარი განაცხადა 3-ოთახიანი ბინის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მათი ოჯახი უკვე 11-სულიანი გახდა და ორ ბინას ითხოვდა. ეს უარი მან ქალაქის მერიაში შესაბამისი ვიდეოგადაღებით დაადასტურა. იგი ცალკე საცხოვრებელ სახლს ითხოვს, რაზედაც უკვე მსჯელობს ქალაქ ოზურგეთის მერია.

კომისიის სხდომაზე გამოითქვა აზრი, მიუხედავად იმისა, რომ დააგვიანდა შესაბამისი საბუთების წარმოდგენა, ბინა მიეცეს ნადია ბალტას ოჯახს.

სხდომაზე თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის თავმჯდომარე მინდია სალუქვაძემ, ქალაქის საკრებულოს წევრმა ნინო ტაბატაძემ, მერიის სოციალური განყოფილების უფროსმა თამარ დუმბაძემ, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა მერაბ წივწივაძემ და სხვებმა.

მუშა ჯგუფის წევრებმა, ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად, რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერეს. ბეგი სიორიძემ მორიგი შენიშვნები მისცა მშენებლებს.

ოზურგეთის ყოფილი სამშობიარო სახლის სარეაბილიტაციო ტენდერი შპს „ვიგორამ“ მოიგო (დირექტორი რამინ შავაძე, სამუშაოთა მწარმოებელი ბადრი აბაშიძე). სარეაბილიტაციო სამუშაოებმა 407 508 ლარი შეადგინა.

გასულ შაბათს (ამ დროს გაზეთი „ალიონი“ „მერიდიანის“ სტამბაში იბეჭდებოდა) ქალაქის მერმა, მუშა ჯგუფთან ერთად, 51 ოჯახს ახალი ბინის გასაღებები გადასცა.

გურიის გუბერნატორი საკათედრო ტაძარში საშობაო ლიტურგიას დაესწრო

ალიონი. გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე ქალაქ ოზურგეთის ღვთისმშობლის მიძინების საზელობის საკათედრო ტაძარში საშობაო ლიტურგიას დაესწრო.

სადღესასწაულო ღვთისმსახურება შემოქმედელმა მიტროპოლიტმა მეუფე იოსებმა აღავლინა.

„გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო, შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მინდა გისურვოთ მშვიდობა, ბედნიერება, სიხარული, სიყვარული, წარმატება და უკეთესი მომავლის რწმენა. დღევანდელი დღის მადლი შეგეწიოთ თქვენ და სრულიად საქართველოს,“- შობა მიულოცა გუბერნატორმატაძარში შეკრებილ მრევლს.

საზეიმო წირვის დაწყებამდე გია სალუქვაძე შემოქმედის ეპარქიის რეზიდენციას ეწვია და მეუფე იოსებს დამდეგი შობა მიულოცა.

გურიის გუბერნატორი „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს შეხვდა

ალიონი. 5 იანვარს გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, მოადგილეებთან ერთად, ოზურგეთში ჩამოსულ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს მიხეილ ბოცვაძესა და ოზურგეთის მომსახურების ცენტრის მენეჯერს გიორგი ნაკაიძეს შეხვდა. შეხვედრის თემა ელექტროენერგიასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები გახლდათ. მათ შეაფასეს გურიის რეგიონში არსებული ვითარება, შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა და იმსჯელეს ენერგომომარაგების საკითხებზე.

გუბერნატორის დავალებით, გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, 24-საათიან რეჟიმში მუშაობს საგანგებო შტაბი და მოქმედებს ცხელი ხაზი - ტელ: **(0496) 27 – 58 – 81; 595 59 - 77 – 50.**

შტაბს კოორდინაცია აქვს, როგორც მუნიციპალურ, ასევე, "ენერგო- პრო ჯორჯიას," „წყალმომარაგების კომპანიისა“ და "სოკარ გაზის" შტაბებთან.

საახალწლოდ გურიაში უშუქოდ დარჩენილი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი იმდენად აღშფოთებულია "ენერგო-პრო ჯორჯიას" მომსახურებით, რომ სოციალურ ქსელში გუბერნატორის პირად გვერდზე ერთ-ერთმა მოქალაქემ ასეთი პოსტი დადო: „ბატონო გუბერნატორო, როზგით არის ეს კომპანია საქართველოდან გასაგდები“.

გაითვალისწინებს თუ არა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა ქალაქის მერის თხოვნას

ალიონი. იმის გამო, რომ დიდთოვლიანობის დროს ბუჟუის სანაპირო ზოლზე ელექტროსადენები დაზიანდა, 2 იანვარს, ღამის საათებში გრიბოედოვის ქუჩის მოსახლეობა ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

5 იანვარს ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე ამ ქუჩის მოსახლეობას შეხვდა.

“ქალაქის მერიის არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, დროულად მომხდარიყო სანაპირო ზოლზე მცენარეთა ტოტების გამოჭრა, რათა მოსახლეობას ზამთრის პერიოდში შუქის მიწოდება არ შეზღუდვოდა, “ენერგო- პრო-ჯორჯიამ“ ვერ მოახერხა დროული რეაგირება. 2 იანვარს გრიბოედოვის ქუჩის მოსახლეობას ღამის განმავლობაში არ მიეწოდებოდა შუქი. არსებობს ერთი პრობლემა, ხეები, რომლის ტოტების ჩამოჭრა ახლა მიმდინარეობს, წიწვოვანი ჯიშისაა და გვინდა რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს. პრობლემა მხოლოდ უშუქობა არ გახლავთ. ხაზს ვუსვამ, რომ ტოტები ღია სადენებს ედება, რაც ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველია. ვესაუბრე “ენერგო პრო-ჯორჯიას“ გენერალურ დირექტორს და ვთხოვე ღია ტიპის ელექტროგაყვანილობა, კაბელით ჩაანაცვლოს. იმედია, ხსენებული კომპანია ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს.

ხსენებული კომპანიის მუშა ჯგუფის მიერ ბუჟუის სანაპიროზე ხეების ტოტების გამოჭრის სამუშაოები დამთავრებულია და მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობას ელექტროენერგია მიეწოდება.

გაითვალისწინებს თუ არა ენერგო-პრო ჯორჯია ქალაქ ოზურგეთის მერის თხოვნას, ეს ალბათ ახლო მომავალში გამოჩნდება.

პრევენციული ღონისძიებების გეგმა დასახეს

ალიონი. უახლოეს დღეებში თოვლის ინტენსიური დნობა, თანდართული წვიმები და მდინარეებშმი წყლის დონის მატებაა მოსალოდნელი.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გურიის გუბერნატორმა გია სალუქვაძემ, 5 იანვარს საგანგებო შტაბის მორიგი სხდომა გამართა, რომელსაც გუბერნატორის მოადგილეები და შტაბის წევრები დაესწრნენ.

მხარის თავკაცმა, დიდთოვლობასთან დაკავშირებით, დეტალურად მოისმინა გურიის რეგიონში ამ დროისთვის არსებული ვითარება. სხდომაზე დასახეს მოსალოდნელი წყალდიდობის შემთხვევაში პრევენციული ღონისძიებების გატარების გეგმა.

„ანა-ბანა, ანა-ბანა, თოვლმა შეშა მოგვიტანა!“

„ვერის უბნის მელოდიების“ ოზურგეთული ვარიაცია

ეს სურათი, – ერთგვარი მხიარული ინტონაცია რომ შეიტანა დიდთოვლობის გამო პრობლემებით გავჯერებულ ჩვენს საგაზეთო პუბლიკაციებში,– ქალაქ ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“, 7 იანვარს, ტრადიციული საშობაო მსვლელობის – „ალილოს“ დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე გადავიღეთ.

ის იყო, ფოტოაპარატის ღილაკს თითი დავაჭირეთ, რომ ვიღაცამ ჯერ ზურგს უკან ჩაიღიღინა: „ანა-ბანა, ანა-ბანა, თოვლმა შეშა მოგვიტანაო“, მერე კი იური ზარეცკის მანერით, წინ გადაგვიდგა და „ჰეიო“! – მაჟორულ ნოტზე დაასრულა ფრაზა.

მოკლედ, ექსპრომტად შეიქნა მუზიკალ „ვერის უბნის მელოდიების“ ეს

ოზურგეთული ვარიაცია.

ასე რომ, მადლობა ზამთარს, მადლობა თოვლს, მადლობა უცნობ „ზარეცკის“ და კიდევ ვის? რა თქმა უნდა, მამაპაპურ ბირდაპირს.

რა ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა ქალაქ ოზურგეთში 2014-2015 წლებში

პუბლიკაციაში გამოყენებულია ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური მასალები და ამ თემაზე გაზეთ „ალიონში“ გამოქვეყნებული ინფორმაციები

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, რომლის მიმართულებითაც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია დღესაც უპრეცენდენტო და მასშტაბურ სამუშაოებს ახორციელებს, ინფრასტრუქტურის განვითარებაა. მერიის ფორმირების საწყის პერიოდში, ადგილობრივ ხელისუფლებას ქალაქში საკმაოდ ბევრი პრობლემა დახვდა: მოუწესრიგებელი ქუჩები, ამორტიზებული მიწისქვეშა კომუნიკაცია, სიძველით დაზიანებული და ფუნქციადაკარგული შენობები ქალაქის ცენტრში. სწორედ ამიტომ ხელისუფლებამ საბიუჯეტო სახსრების დიდი ნაწილი ამ პრობლემების გადაჭრისკენ მიმართა.

2014 წელს ქალაქის მერიამ დაასრულა გარდამავალი ინფრასტრუქტურული პროექტები (საერთო ღირებულებით 1 536 300 ლარი), რომლებიც ფინანსდებოდა რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან. ამავე წელს განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები:

- წმინდა გიორგის ქუჩა - ექადიის სასაფლაოს 2,7 კმ სიგრძის გზის 0,6 კმ. სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- გრიბოედოვის ქუჩის მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობისა და მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ბესიკის ქუჩის რეაბილიტაცია;
- შევჩენკოს ქუჩაზე 2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია;
- სპორტული კომპლექსის

მშენებლობა;
- 6 საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტის სამუშაოები;
- საბავშვო ბაღებისთვის (1, 7, 9) ინვენტარის შეძენა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2015 წლის განმავლობაში, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდა 6 914 968 ლარი, მათ შორის :

რეგიონში განსახორციელებელი პროექტებიდან - 2 811 784 ლარი, რითაც განხორციელდა და ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე გურამიშვილის, რუსთაველის, ფარნავაზ მეფის, ნ. ნიკოლაძის, გურიის, ჭანტურიას, გრიბოედოვის ქუჩების მოასფალტება, საერთო სიგრძით 3 კმ;
- ჭავჭავაძის ქუჩაზე 4, 8, 10, და რუსთაველის ქუჩაზე 6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა;
- ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოები;
- უსახლკაროთა თავშესაფარის შენობის რეაბილიტაცია (ხსენებული ფართი გარემონტდა უბინაო ოჯახებისთვის. ქალაქის მერიის სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა 51 უსახლკარო ოჯახის სია. ამ ოჯახებმა გუშინწინ ხსენებულ შენობაში გარემონტებული, საცხოვრებლად ყველა საჭირო პირობის მქონე ფართი მიიღეს.

2014 წელს ქალაქ ოზურგეთში, სექტემბერსა და ნოემბერში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ დათვლილი იქნა 3 608 827 ლარის სამუშაოები. აღირიცხა და შესწავლილ იქნა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა. სულ ზიანი 47 ოჯახს მიადგა. ქალაქის მერიამ სტიქიით მიყენებული ზარალი თითოეულ ოჯახს, სამშენებლო მასალით აუნაზღაურა.

სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქის ცენტრალურ ნაწილს და მიმდებარე ტერიტორიებს, რის შედეგადაც, წლეულს, პირველად ქალაქის ცენტრის დატბორვის საშიშროება აღარ დამდგარა.

ხსენებული რეზულტატი მიღებულ იქნა შემდეგი პროექტების განხორციელების შედეგად:

- გურიისა და დავით აღმაშენებლის ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ყაზბეგის ქუჩის მიმდებარედ მდ.აჭისწყლის გასწორხაზოვნებისა და გაბიონის მოწყობა;
- თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ, მდ. აჭისწყალზე ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობა;
- გოლიაძის ქუჩის მიმდებარედ მდ.ბაზრისწყალზე ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობა;
- სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამშენებლო მასალების შესყიდვისა და ადგილზე მიტანის მომსახურება;
- მდ. სკუჩას კალაპოტის გაწმენდა და არხის ბეტონის კედლის გამაგრება;
- გენიჩესკის ქუჩაზე არხის მოწყობა;
- გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, სანიაღვრე არხებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- თაყაიშვილის ქუჩის მიმდებარედ მდ. შკვარა-შკურაზე ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობა;
- დიმიტრი ბაქრაძის და მალაზონიას ქუჩების მიმდებარედ, ფერდის დამჭერი გაბიონებისა და მონოლითური რკინა-ბეტონის კედლის მოწყობის სამუშაოები;
- მდინარე ბაზრისწყალზე ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობა.

მიმდინარეობს სტიქიის სალიკვიდაციოდ დაგეგმილი სხვა პროექტების განხორციელებაც.

საკუთარი ბიუჯეტით ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე იხარჯება

მოწყობის სამუშაოები;
- სარეაბილიტაციო სამუშაოები ცენტრალურ სტადიონზე;
- „ჭადრების ბაღში“ ტერიტორიის მოწესრიგების სამუშაოები;
- გურიის ქუჩაზე აგრარული ბაზრის ფასადის რეკონსტრუქცია;
- რუსთაველის ქ. 28-ში მდებარე სპორტული კომპლექსის გაზმომარაგების სამუშაოები;
- კლდიაშვილის ქუჩაზე მდებარე სკვერის კეთილმოწყობა
- ქ. ოზურგეთში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია (გათვალისწინებულია 23 მრავალბინიანი სახლის სახურავის მთლიანი ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია);
- რუსთაველის ქ. 6-ში მდებარე ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;
- საკუთარი საბიუჯეტო სახსრებით ლერმონტოვის, ლალიონის, საფო მგელაძის, ჩანჩიბაძის, კლდიაშვილისა და გოლიაძის ქუჩების ნაწილობრივი და მთლიანი მოასფალტება;
- დაზიანებული ქუჩების სავალი ნაწილების მოასფალტებისა და ორმული შეკეთების სამუშაოები;
- გურამიშვილის ქ. 7-ში და ჭავჭავაძის ქ. 15-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადის სარემონტო სამუშაოები;
- ბოლქვაძის ქ. 13-ში და 15-

ში ხუთსართულიანი მრავალბინიანი კორპუსების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გრიბოედოვის ქ. 25-ში და კოსტავას ქ. 2-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია.
- ჭავჭავაძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.
– დასრულდა გურიის ქუჩაზე სანიაღვრე არხებისა და ასფალტ–ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
– ასევე დასრულდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე სანიაღვრე არხების კეთილმოწყობის სამუშაოები და 9 აპრილის ქუჩის კეთილმოწყობის სამუშაოები;
– მომზადებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ტროტუარების კეთილმოწყობის სამუშაოების ჩასატარებლად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
– მიმდინარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში (გაბრიელ ეპისკოპოსის, თაყაიშვილის, ერისთავის, დოლიძის ქუჩები) ტროტუარების კეთილმოეყობის სამუშაოები, ნაკაშიძის ქუჩაზე – ტროტუარის რეაბილიტაცია.

საკუთარი ბიუჯეტით შესრულებულია 491 172 ლარის ღირებულების სამუშაო. სულ, 2015 წლის განმავლობაში, შესრულებულია 3 888 375 ლარის ღირებულების სამუშაო.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიც (იხ. გაზეთი „ალიონი“, №1, 2016) უმთავრესად ინფრასტრუქტურის განვითარებაზეა ორიენტირებული



გილოცავთ!

გურია დიდი ტრადიციების მხარეა. იგი მე-8 საუკუნის დამდეგს წარმოიქმნა და სამხრეთ დასავლეთით შორსაც განივრცობოდა, როგორც „ქართლის ცხოვრებაშია“ აღნიშნული, საბერძნეთის საზღვრამდე.

ჟამთა სიავის გამო, მე-16 საუკუნიდან თანდათან ჩამოცილდა მას ქვემო ნაწილი და დარჩა მას შუა და ზემო გურია. ასეა იგი დღემდე მოღწეული.

მიუხედავად ამ მძიმე ხვედრისა, გურიამ მაინც გაუძლო დროთა ავბედობას და თავისი კრიმანჭულით დამშვენებული შემოგვინახა დღემდე. აწი ჯერი ახალ თაობებზეა, რომლებმაც ისტორიული ტრადიციები უნდა დაიცვან და ახალ სიმაღლეზე უნდა აიყვანონ.

ბედნიერი ყოფილიყოს შობა-კალანდა!

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

ჩემს საყვარელ ოზურგეთელებს ვულოცავ შობა-კალანდას! ხვავს, ბარაქას, სიხარულს, სიყვარულს, ბედნიერებას გისურვებთ. ღვთის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ

ლევან თოიძე
ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სიივრცით ტერიტორიული მოწყობისა და დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე

სოციალური მომსახურების სააგენტოს გუჩიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი გილოცავთ შობა-ჯალანდას!
დაე, 2016 წელი მზრუნველობამოჯილებული ბავშვისთვის, პენსიონერისთვისა და სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეებისათვის შვებისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს.

„ევრიპა-ბეთი“ გილოცავთ შობა-კალანდას!

მალახია „ჯიგო“
გილოცავთ შობა-ჯალანდას
და გთავაზობთ სამშენებლო
და სანტექნიკური მასალების
ფართო არჩევანს.
გვენვიეთ!
მისამართი: ქ. ოზურგეთი,
დ. ალმაშენებლის ქ. №4

გურიის სამონადირეო ტურიზმი და ბაზიერთა კლუბი გილოცავთ შობა-ახალ წელსა და კალანდას!

„ტყის ძმების“ სახელით, კლუბის პრეზიდენტი ერმოგენ (ენვერ) კომახიძე.

ჯემალ კეჭაყმაძე ტრადიციას არ ღალატობს

ალიონი. კვირიკეთელ ჯემალ კეჭაყმაძეს ოზურგეთელები იცნობენ როგორც კარგ მოქალაქეს, ნიჭიერ მსახიობს, რამდენიმე წიგნის ავტორს. ახლახან მან კიდევ ერთი წიგნი, კეჭაყმაძეთა გვარის შესახებ, შემატა მის ბიოგრაფიას.

ჯემალ კეჭაყმაძე შეუპოვარი კაცია დახული მიზნის მიღწევის საქმეში. ეროვნული მოძრაობის წლებში „რკინის ქალამნები“ ჩაიცვა, რათა მშობლიურ სოფელში წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძარი აღედგინა. შეძლო მეოხთა პოვნა და იქ დიდი ხანია წირვა-ლოცვა მიმდინარეობს. შარშან, 76 წლის კაცი ფეხით ჩავიდა დათქმულ დროში ოზურგეთიდან ბათუმში და საზოგადოებას ჯანსაღი ცხოვრები წესის აუცილებლობა შეახსენა.

ჯემალ კეჭაყმაძე უკვე სამი წელია, შობის, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულებისა და ტაქსიტთა მსოფლიო დღეს უფასოდ ემსახურება მოქალაქეებს. მას ამ ინიციატივით უკვე გავლილი აქვს 1000 კილომეტრზე მეტი.

შობას, ჯემალ კეჭაყმაძის „ჟიგული“ ადრე დილიდან ტრადიციულად ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინ იდგა. სოფელ ოზურგეთი, ცხემლიხიდი, კვირიკეთი, ექადია, ანასეული, ქალაქის ხვადასახვა უბნები– ასეთი იყო დღის პირველ ნახევარში მისი

მისამართები.

ჯემალთან საუბრის დროს ავტომანქანასთან ოზურგეთის საკათედრო ტაძრის სტიქაროსნები მივიდნენ და ნემიროვიჩ-დანჩენკოს ქუჩაზე სთხოვეს წაყვანა.

უფასო ტაქსი დაიძრა...

P.S ეს ინფორმაცია გაზეთ „ალიონის“ ფეისბუქგვერდზე 7 იანვარს, 16 საათზე დაიდო. 24 საათის განმავლობაში (გაზეთი ამ ნომრის სტამბაში გაგზავნამდე) იგი 70-მდე მომხმარებელმა გაიზიარა და 13 250 ნახვა ჰქონდა.

ახალ წელს ჭრაქის შუქზე შევხვდით

გაზეთის ამ ნომრის სტამბაში გაშვებამდე ცოტა ხნით ადრე, რედაქციაში სოფელ თხინვალიდან **ეთერ ხომერიკმა** დარეკა და თავისი აღშფოთება გადმოგვცა იმის გამო, რომ სოფელს იმ დროისათვის შუქი არ მიეწოდებოდა.

– ახალ წელს ჭრაქის შუქზე შევხვდით. მაღლობიდან ვხედავ შუქი ამჟამად მეზობელ სოფლებში არის. ჩვენ ახლაც არ გვაქვს შუქი. რითი იმართლებს თავს „ენერგო პრო ჯორჯიას“ შესაბამისი სამსახური, ადგილობრივი ხელისუფლება? ახლა კი არ უნდა ცვლიდნენ ბოძებს, ძველ ხაზებს, ეს ზაფხულში ან შემოდგომაზე უნდა გაეკეთებინათ. შეიძლება 21-ე საუკუნეში შუქი არ გვქონდეს? – გვითხრა ეს საყვედური მან და თან შობა-კალანდა მოგვილოცა.

საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა

2016 წლის 6 იანვარს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

დეპუტატებს, სხდომაზე დამსწრეებს შობა-კალანდის დღესასწაულები მიულოცა საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ.

საკრებულოს სხდომის პირველ საკითხად „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე-“ განიხილეს.

დეპუტატების თანხმობა მიიღეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

ფართო მსჯელობის საგანი გახდა საკითხი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის და ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების წესის შეთანხმების შესახებ“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიღების თაობაზე.

– ასე ქაოსურად არ უნდა ხდებოდეს ურეკი-შეკვეთილის განვითარება, –აღნიშნა დავით დარჩიამ.

დავით სიხარულიძე: –მიწის იმ მეპატრონეებს, რომლებიც 200 კვადრატულ მეტრ ფართობზე ნაკლებ ფართობებს ფლობენ, ეკრძალებათ კაპიტალური მშენებლობა. ასეთ მცირე ნაკვეთებს 1000-მდე მეპატრონე ჰყავს.

რაც შეეხება ზღვიდან 100-მეტრიან ზონას, აქ ბევრი ნაკვეთი მოხდა დაფარვის არეში. სასურველია, ჩვენ განვსაზღვროთ, ზღვიდან 100 მეტრში არ აშენდეს მაღლივი კორპუსები. ვინც დაბის მუდმივი მაცხოვრებელია, უფლება უნდა მიეცეთ ახალი შენობა ააგონ.

დეპუტატ ხვიჩა წულაძის აზრით, სახელმწიფომ უნდა შექმნას პროექტები, რათა 200 მეტრამდე ფართობში ჩაიდგას სახლი.

ურეკის თემიდან დეპუტატები ელექტროენერგიის მიწოდების თემაზე გადავიდნენ.

–კი ბატონო, ცხემლისხიდი-ბაღდადის გზა 31 იანვრიდან იწმინდებოდა, მაგრამ №1 პრობლემა მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება იყო. ჩვენ ვაყენებდით საკითხს, შეცვლილიყო მაღალი ძაბვის და შიდა ხაზები, იყო შეპირებები „ენერგო პრო ჯორჯიასაგან,“ მაგრამ ფაქტის წინაშე დავდექით – ხალხმა დაინახა, რომ ჩაბნელებული იყო სოფელი, მცირე თოვაზე შუქი ითიშება –თქვა დეპუტატმა ლალი სიჭინავამ.

– მე რომ განათებული ვარ, ისე იყავი განათებული შენ ამ წელსმითხრა სატელეფონო საუბრისას ერთმა მოქალაქემ, – გულისტკივილით აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

– ელექტროენერგიის მიწოდების საქმეში პრობლემები იყო ნატანებშიც, მაგრამ ქუთაისის, სენაკის, წყალტუბოს ბრიგადები დაგვეხმარნენ და ელექტროენერგიის მიწოდება აღდგა.

დღეს ზემო ნატანების 90 პროცენტი გაზიფიცირებულია, მაგრამ გზებს სასწრაფო რეაბილიტირება სჭირდება. 480 კილომეტრია სოფელ ნატანების შიგა გზები და მისი მოვლა არაა ადვილი. თანაც მეწყერმა ნატანები-შრომა-ურეკის გზა ორ ადგილას სერიოზულად დააზიანა, -აღნიშნა დეპუტატმა დავით სიხარულიძემ.

საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება შპს „სატისის“ დაფუძნებისათვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობის მიცემის თაობაზე.

„სატისი“, როგორც გამგებლის მოადგილე არჩილ ყაზაიშვილმა განმარტა, ძველეგვიპტური ქალღმერთის სახელია და ამ სახელწოდების შპს-მ სოფლის წყალსადენებს უნდა უპატრონოს.

–პირველ ეტაპზე 400 ათას ლარამდე გასცემს სახელმწიფო დახმარებას ამ ორგანიზაციის საფუძვლის ჩაყრისთვის –აღნიშნა არჩილ ყაზაიშვილმა.

გურამ დოჩანაშვილი ოზურგეთის თეატრში



2015 წლის მიწურულს, ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში წლის რიგით მერვე თეატრალური პრემიერა გაიმართა.

ქართული ლიტერატურის ცოცხალ კლასიკოსად აღიარებული გურამ დოჩანაშვილის მოთხრობაზე „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" სპექტაკლი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ვასო ჩიგოგიძემ რეჟისორ ოთარ კუტალაძესთან ერთად დადგა. ინსცენირებაზე ზურაბ კანდელაკმა იმუშავა, სცენოგრაფია ლომგულ მურუსიძეს, ხოლო მუსიკალური გაფორმება გოგა მახარაძეს ეკუთვნის.

ვასიკო კეჟერაძის როლზე მოწვეულია ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ზურაბ ცინცქილაძე, ამავე როლზე მუშაობს ოზურგეთის თეატრის მსახიობი ზვიად ჯორბენაძე. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: გიორგი დოლიძე, ირაკლი ვადაჭკორია, ვახტანგ ჩხარტიშვილი, ანი გოდერძიშვილი.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვასო ჩიგოგიძის ხედვით, სპექტაკლის მთავარი პერსონაჟი თავისებური დონ კიხოტია, რომელიც, ქარის წისქვილების ნაცვლად უწიგნურობას ებრძვის, ხოლო მსახიობი ზურაბ ცინცქილაძე საოცრად შთამბეჭდავად გვაჩვენებს ამ ბრძოლას.

პრემიერაზე დასწრების მსურველი გაცილებით მეტი იყო ვიდრე ჩვენი თეატრის მცირე დარბაზი დაიტევდა. ფაქტობრივად, ბილეთები არც გაყიდულა, პრემიერას ძირითადად, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მასმედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გულდაწყვეტილ მაყურებელს ვაცნობებთ, რომ მორიგ წარმოდგენებზეც მოვიწვევთ ზურაბ ცინცქილაძეს, თანაც სპექტაკლი ერთდროულად დიდი და მცირე სცენებისთვის არის განკუთვნილი. როგორც კი ჩვენი თეატრის სიცივით ცნობილ დარბაზში ასატანი ტემპერატურა დადგება, ჩვენება დიდ სცენაზე გაიმართება. დადგმა განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ფინანსური მხარდაჭერით, რისთვისაც თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი ბატონებს მერაბ ჭანუყვაძესა და დავით დარჩიას მადლობას უხდის. სპექტაკლები გაიმართება არა მარტო თეატრში, არამედ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში.

ლია კილაძე



ჯოლოგებს, პარტნიორებს, ჩვენს ძვირფას მაყურებელს, თეატრის სილოლ თუ სცენის უჩინარ მოღვაწეებს!

გილოცავთ ჩიჩილაკებით დამშვენებული შობა-კალანდის შემოგრძანებას. გისურვებთ სიკეთეს, სიყვარულს, წარმატებებსა და გამარჯვებებს.

2016 წელს ჩვენი თეატრი გაცილებით მეტ სიურპრიზს გიმზადებთ და მოგანიჭებთ მეტ სიხარულს.

სიყვარულით თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი
ვასო ჩიგოგიძე.



ჩემო
გურულებო!
გილოცავთ
შობა-კალანდას!.
და ქართული თეატრის დღეს! გისურვებთ წინსვლას და წარმატებებს!

ზაზა ჯინჭარაძე
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის
დირექტორი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ყველაზე ანგარიშვალდებულ და ღია საჯარო დაწესებულებათა ჩამონათვალშია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (**IDFI**) წლის ბოლოს გამოაქვეყნა ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა – **WWW.opendata.ge** – 2010-2015 წლების შემაჯამებელი ანგარიში.

აღნიშნული ინსტიტუტის მიერ განხორციელებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგად, დასახელდა ყველაზე ანგარიშვალდებული და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები. კვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე ანგარიშვალდებულ და ღია საჯარო დაწესებულებებში დასახელდა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

შესაბამისი სიგელი და პროექტის შემაჯამებელი ანგარიში ქალაქ ოზურგეთის მერიამ გასული კვირის პარასკევს მიიღო.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფეხბურთს ყველაზე კარგად ნატანებელები და ბახველები თამაშობენ

ალიონი. 2011 წლის მიწურულს გამართულმა საფეხბურთო ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ორი ასაკობრივი ჯგუფის – 2000-2002 და 2003-2004 წლებში დაბადებული ფეხბურთელები, ცხადყო, რომ ფეხბურთს ყველაზე კარგად ნატანებელები და ბახველები თამაშობენ.

2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის ფინალურ მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დვაბზუსა და ნატანების გუნდები. ნატანებელებმა დამაჯერებლად, დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხეს მეტოქე და პირველი ადგილის მფლობელები გახდნენ.

მეტად დაძაბული აღმოჩნდა ფინალური შეხვედრა უმცროს ასაკობრივ ჯგუფში (2003-2004 წწ.) ბახვისა და ბოხვაურის გუნდების მონაწილეობით. ძირითადმა და დამატებითმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პენალტების სერიაში უფრო ზუსტნი და შესაბამისად იღბლიანები გამოდგნენ ბახველები, რომლებმაც ხუთივე დარტყმა უნაკლოდ შეასრულეს, ბოხვაურელებმა კი თერთმეტმეტრიანებით მხოლოდ სამჯერ აიღეს ბახველი გოლკიპერის კარი.

ტურნირში მონაწილე ყველა გუნდსა და ფეხბურთელს გადაეცათ სიგელები. გამარჯვებული გუნდები დიპლომებით, თასებითა და მედლებით დააჯილდოვეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, კულტურის, სპორტის, ტურიზმის განვითარების ცენტრის უფროსმა თამარ არაშიძემ, მთავარმა სპეციალისტმა ლაშა ფირცხალაიშვილმა, შესაბამისი ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელმა ავთანდილ სირბილაშვილმა.

ბახვის საფეხურთო სკოლის აღზრდილები სოხუმის „ცხუმში“ იასპარეზებენ

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საფეხბურთო კლუბის აღზრდილები სოხუმის „ცხუმში“ იასპარეზებენ.

ამის შესახებ „ალიონს“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კულტურის სპორტის, ტურიზმის განვითარების ცენტრის“ სპორტის განყოფილების გამგემ, ბახვის საფეხბურთო სკოლის მთავარმა მწვრთნელმა გოჩა კრასოტკინმა უთხრა:

„„სოხუმის „ცხუმის“ ხელმძღვანელობამ ჩვენი საფეხბურთო სკოლის 9 ფეხბურთელი შეარჩია, რომლებიც პირველ ეტაპზე მესამე ლიგაში იასპარეზებენ. 1 თებერვლისთვის „ცხუმის“ თავკაცები ბახვში ჩამოვლენ და, სავარაუდოდ, შესაბამის ხელშეკრულებასაც გააფორმებენ.

სკანვორდი



№51-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

საახალწლო ნუგბარი – გოზინაყი; თოვლის ფთილა – ფიფქი; არაბი – სარკინოზი; კვახი – გოგრა; ერთი წუთით გურულად – ელანძე; სამიანი ნარდში – სე; მხარე რუსეთში – ალტაი; უღელში ხარის შესაბმელი თოკი - აპეური; კალანდის სიმბოლო – ჩიჩილაკი; სუბტროპიკული მცენარე – ჩაი; რუსული საბრძოლო თვითმფრინავი – სუ; წვერცანცარა ცხოველი –თხა, მთასვლელის ინვენტარი წრიაპი, ერთგვარი თაბაშირი – ალიბასტრი; პატარა ჯოხი – ჩხირი; ქალის სამკაული – ყელსაბამი; საახალწლო ქართული ფილმი – კუჩხი ბედინერი; ... მუხასა – მუმლი; საშობაო ნამცხვარი – ღვეზელი; გურული ჩურჩხელა – ჯანჯუხა; კურკანტელის ასხმა – კუნწულა; ძველი გერმანული ფირმა – ზინგერი; აგდებულად მიმართვა – ეი; ახალი წლის სამღერი – მრავალჟამიერი; დედა აჭარულად – ნენე; ... არენინა – ანა; საყრდენი ბოძი – დირე; ავტორბოლა – რალი; სულგუნი გურულად – გადაზელილი; ქალის სახელი – ირა;

ეპოქა ფირალთა ზეობისა
მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი

რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



საჭმელ-სასმელთან, სარჩო-სამადთან, პირუტყვ-საქონელთან და ფრინველთან ერთად არც საცხოვრებელი კარ-მიდამო ჰქონია „ვაგლახად“და „წელგადრეკილად“ გურულს, როგორც მომავალ საფირალო სუბიექტსა და „მაუზერისტ-ტერორისტს“. ისევ მოვიხმოთ თედო სახოკია:

... სინესტის შიშით ქვითკირის სახლებს აქ იშვიათად აშენებენო... აქაური სახლი ფიცრისაა, კედლებს გარშემოკრული აქვთ სიმაღლეზედ თხელი ლამფები (ფიცრები)„ ღურკვად შეღებილი, რაიცა თავისებურ ელფერს აძლევს აქაურ სახლებს... ყველას ერთსართულიანი ოდები უდგათ, გადახურული კრამიტით, ან როგორც აქ ეძახიან „ქერამბინთ“, რომელსაც გურიაშივე, სოფელ აკეთში აკეთებენ. აქაური სახლის (სამაღლე) სამრკეული ადლანხვარის სიმაღლეზედა დგას დედამიწიდან აშორებული.

ამგვარად, ნიადაგ აშორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ენახება...ზამთარში ცივა ასეთს სახლებში, ქარს შემოსვლა არ უჭირდება,ბუხარი მარტო იმის ახლოს მიმჯდარს თუ გაუთბობს წინა ტანს, ზურგი კი ისევ ყინულივით რჩება."

გურიაში რევოლუციური მოძრაობის სათვალთვალოდ საგანგებოდ მოვლინებული როტმისტრი როჟანოვი წერდა: „გურულთა გაჭირვებული ცხოვრების შესახებ განუწყვეტელი წუწუნი, ვიში და ვაება სულ მათი პროპაგანდისტების მოგონილია სიტუაციისა და ვითარების ძალად დაძაბვის მიზნით. ისინი ცხოვრობენ კომლებად, წაბლისა და წიფელის მასალისგან დამზადებულ სახლებში. აქვთ კარგად მოწყობილი კარ-მიდამო, თითოეული სახლი 600 მანეთზე მეტი ღირებულებისაა.

1905 წლის 16 ოქტომბერს ნასაკირალის ცნობილი შეტაკების შემდეგ,მოკვანე გურულებზე გულკვავრიანმა პლასტუნებმა, ოზურგეთის მომავალი მაზრის უფროსის, ტომით კაზაკის, ევგენი ერმალოვის მეთაურობით ოზურგეთიდან და ვიდრე ნასაკირალამდე „პირწმინდად“გადაწვეს გურულთა კარმიდამო, ცეცხლმა შთანთქა 180-ზე მეტი ოჯახი. საერთო ზარალმა ყველა გამოხატულებაში 100 ათას მანეთს გადააჭარბა, რაც საერთო ჯამში საკმაოდ სოლიდურად გამოიხატება და კონკრეტულად ეფარდება როტმისტრ როჟანოვის მიერ გურულთა საცხოვრებელი სახლების რეალურ ღირებულებას.

არც სწავლა და განათლება აკლდა იმ დრო და ჟამის შესაფერისად „??? თოფმომარჯვებულ“ ტყისკენ მაცქერალ გურულს. გურიას ამ მხრივ უძველესი ტრადიციები გააჩნია.

ფაზისის ცნობილი აკადემია, სადაც ამ 1600 წლის წინად „რიტორიკის ნაყოფი მოიმკო“ცნობილმა ბერძენმა ფილოსოფოსმა თემისტიოსმა, მრმინდელი გურიის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

მე-17 საუკუნის ოცდაათიან წლებში გურულთა სატახტო, კეთილპალატოვან ოზურგეთში უკვე არსებობდა კათოლიკე მისიონერების: დონ ქრისტეფორე დე კასტელისა და ანტონიო ჯკარდინას მიერ დაარსებული კოლეჯის ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულება სადაც, ასწავლიდნენ სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებს, აქ შეადგინა ანტონიო ჯკარდინამ პირველი გრამატიკა ვიდრე ასეთსავე ნაშრომს „მარადიულ ქალაქ“ რომში ფრანჩესკო მარია გამოსცემდა ათი წლით მოგვიანებით. სამშობლო პირველი ქართული გრამატიკისა არის არა „მარადიული ქალაქი“-არამედ სატახტო გურიელისა - ძველი ოზურგეთი.

XVII-ის 20-იან წლებში სოფელ გურიანთაში-გურიის ძველ დედაქალაქში ციხისფერდის ღვთისმშობლის ეკლესიაში „ძველთა თავადთა“ დიდი გვარის ნაშიერმა ბეჟან ნაკაშიძემ სათავე დაუდო „ციხის თაბუნია სახოგადოებას“- კალიგრაფისტთა სკოლას, სადაც დაიწერა და იშვა „წიგნნი საკვირველნი“, „შემოქმედის გულანი“.

მარტოოდენ შემოქმედის გულანი შეიცავდა 2004 გვერდს 1500 ფერწერულ მინიატურას, იწონიდა ზუსტად ორ ფუთს. ხუთი გადამწერი 18 წლის განმავლობაში სწერდა აპოლიტურად ერთიანი ხელით ამ დიდებულ წიგნს. წელიწადში 118 გვერდი იწერებოდა.

დიმიტრი ყიფიანის ცნობით: „ჯურია გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული უფრო მაღლა აღვიდა განათლების ხარისხზედ, ვიდრე კავკასიის აქეთ მდებარე დანარჩენი თემნი".

1874 წელს გაზ. „დროება“ წერდა: ოზურგეთის მაზრაში უფრო ბევრი შკოლებია„ თითქმის ოთხი იმდენი, რაც რაჭაშია... აქური ხალხი უფრო თანამგრძნობია შკოლებისა, ვინემ სხვა მაზრების მცხოვრებნი.

ამავე გაზეთის ცნობით: გურიაში დიდი სურვილი აქვს ჩვენს საწყალ ხალხს სწავლის შეძენისა და განათლებისა. ამ ზაფხულის თვეშიაც როცა ერთი მოზრდილი ბიჭი დღეში ერთი ოქრო ღირს... მამას,მანც არ ენაღვლის ყმაწვილის სიარული სკოლაში დილიდან შუადღის გასვლამდის, რადგან კარგად უწყის რომ „ცოდნა სინათლეა“.

სკოლების რაოდენობით გურია სხვებზე წინა სდგას, - იუწყებოდა „მწყემსი“ 1891 წელს.

ყოველკვირეულ გაზ. „კვალის“ ცნობით გურიაში 40-ზე მეტი სამონასტრო სკოლაა და 30-ზე მეტი სამრევლო. მცხოვრებთა რიცხვით ეს მხარე 60 000 არ აღემატება. ახალციხის მაზრაში გურიაზე ბევრად მეტი ხალხი ცხოვრობს,მაგრამ აქ სულ ორი სამი შკოლაა და ისინიც ცოცხალ-მკვდარივით ძლივს სუნთქავენ.

არამცთუ მარტო ამიერკავკასიაში, - წერდა „პეტერბურგის უწყებანი“ - არამედ რუსეთის მოწინავე გუბერნიებშიაც კი ვერ შეხვდებით მოსახლეობის პროცენტული რაოდენობის მიხედვით, იმდენ განათლებულ ადამიანს, რამდენსაც ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში“.

მაზრის 25 სოფლის საზოგადოებაში საერთო განათლების 22 სამონასტრო სკოლა ყოფილა და 35 სამრევლო-საეკლესიო. საყურადღებოა ის, რომ ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი თვით სამოსწავლო უწყების დაუხმარებლად, თვისის ხარჯით აარსებენ და აშენებენ ამ სკოლებს. გურული გლეხი მიუხედავად თავისი ძნელბედობისა, მანც იხდის სკოლებისა და მასწავლებლების შესანახად მეტად დიდ გადასახდს. ასეთი მხურვალე მონაწილეობა, მათი სწავლა-განათლების საქმეში იმით აიხსნება, რომ ადგილობრივ მცხოვრებთ კარგად აქვთ შეგნებული სწავლა-განათლების მნიშვნელობა.

გურიაში მოგზაურობის ჟამს თედო სახოკია წერდა: „მომელოდა ნახვა გურიისა, გურულებისა, რომლებიც საფუძვნად ამყობენ თავისი კოხტა გურიათი, სწავლა-განათლებით დაწინაურებულ გურიათი. მომელოდა ნახვა იმ გურიისა, სადაც თვითშემეცნება ჩვენი სამშობლოს სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე მეტად გავრცელებულია. რომელზედაც ჩვენს გაზეთებში თითქმის ყოველ დღე ეკითხულობთ რაიმე სანუგეშოს, წინსვლის მომასწავებელს, მომელოდა ნახვა გურულებისა, რომელთაც სილამაზით, სიცქვიტით და სხვა სანაქებო თვისებით თითქოს საპატიო და თან განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ქართველებში“.

1895 წლის „საქართველოს კალენდარის“ ცნობით მთელს საქართველოში წერა-კითხვის ცოდნაში პიველი ადგილი უჭირავს ოზურგეთის მაზრას, მეორე-რაჭის მაზრას.

ათას სულში წერა-კითხვის მცოდნეა ოზურგეთის მაზრაში 97%, რაჭის მაზრაში 82%, ქუთაისის მაზრაში 72%, შორაპნის მაზრაში 58%, ლეჩხუმის მაზრაში 55%.

1844 წელს გურიის სამღვდელოებამ გახსნა ოზურგეთში ორკლასიანი სასულიერო სასწავლებელი... ეს იყო პირველი მისი ნაჭი განათლების გზაზედ, ეს იყო ერთადერთი სასწავლებელი მთელს გურიაში, პირველი და უკანასკნელი იმდი გურიის სამღვდელოებისა„ რომელიც დიდ ნუგეშს ხედავდა ამ სასწავლებელში.

1896 წლის 1 იანვრისათვის ამ სასწავლებელში ირიცხებოდა 208 მოსწავლე... მის შესანახად გურიის სამღვდელოება ყოველწლიურად 11 120 მანეთს ხარჯავდა.

1874 წელს დაარსებული იქნა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელი. 1896 წლისათვის სასწვლებელში სწავლობდა 303 მოსწავლე. წლიური ხარჯი 8 205 მანეთს შეადგენდა.

ოზურგეთის საქალებო ერთ კლასიან სასწავლებელს საფუძველი ჩაეყარა 1879 წელს. 1896 წლისათვის სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვი შეადგენდა 112-ს. წლიურად მისი შენახვა 1400 მანეთი ჯდებოდა.

1893 წელს დაარსდა ოზურგეთის სამრევლო სკოლა. 1896 წლისათვის სამრევლო სკოლაში 58 მოსწავლე სწავლობდა.

1896 წლისათვის მარტოოდენ ქ. ოზურგეთის ოთხ სასწავლებელში სწავლობდა 681 მოსწავლე, რომელთა სწავლა-განათლებასა და აღზრდაზე 20 145 მანეთი იხარჯებოდა. 3399.

1893 წლის „საქართველოს კალენდარის “ მონაცემებით გურიაში პირველდაწყებითი სკოლები გაიხსნა შემდეგ სოფლებში.

ძიმითში - 1859 წელს.
ჯუმათში - 1868 წელს.
ნიგოითსა და ასკანაში - 1872 წელს
ლანჩხუთში, ლიხაურში, ბასილეთში, ჩიბათსა და შემოქმედში - 1873 წელს
ბახვში - 1874 წელს
აკეთში - 1876 წელს
ჯურუყვეთსა და დვაბზუში - 1879 წელს
ამაღლებაში - 1880 წელს
ხვარბეთში - 1883 წელს
ჩოხატაურში - 1884 წელს.
მიქელგაბრიელში - 1885 წელს
ჯვარცმაში - 1887 წელს. 3400.

გურული უხვად ეწაფებოდა პერიოდულ პრესას. გურიის უმრავლეს სოფლებში არსებობდა სამკითხველოები, სადაც 15-მდე დასახელების ჟურნალ-გაზეთები იყო გავრცელებაში. შემდგომში მარქსისტულმა ლიტერატურამაც იმძლავრა. ხალხი აღელვა. 1902 წელს ადმინისტრაციამ თითქმის ყველა სამკითხველო დახურა „ჯურიაში“, რადგან გურულები წიგნის კითხვამ გადარია და პირდაპირი ბიძგი მისცა ტერორისა და ამბოხებისკენ.

პირველი სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო 1802 წელს გაიხსნა გურიაში. სოფელ აკეთის მკვიდრმა ვახმისტერმა ჯაბლეთ სიმონის ძე ბაკუნაშვილმა. ნატანებს აქედან სარგებლობდა მთელი გურიის სოფლები.

დაბა ლანჩხუთში სამკითხველო გაიხსნა 1900 წელს
დაბა ჩოხატაურში - 1901 წელს
ხიდისთავში - 1903 წელს
სუფსაში - 1911 წელს
შემოქმედში, ლიხაურსა და ლესაში - 1914 წელს
ჯუმათში - 1912 წელს
ასევე ამაღლებასა და აცანაში - 1914 წელს

გურიის არცთუ დამდაბლებულ ეკონომიკურ ყოფას, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ბევრად უსწრებდა წინ მისი კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება. საერო სკოლებისა და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების პარალელურად „თავს იწონებდა “ სამრევლო სკოლები. იმავე 1893 წლის „საქართველოს კალენდარის“ ცნობით გურიაში სამრევლო სკოლები არსებობდა:

ლანჩხუთში, ვანში, ხიდისთავში, ქვენობანში, ხევში, გუთურში, იანეულში, საკავახოში, სამებაში, ჭალა-საყდარში, ხიდისთავში, დვაბზუში, ბოხვაურში თავსურებში

1907 წლისათვის „რეაქციის ხანაში“ - გურიაში 39 საერო სკოლა არსებობდა 8312 მოსწავლით.

განსაზღვრული იყო სკოლათა რიცხვის გამრავლება. 1898 წლის 30 ივლისს გაზ. „ცნობის ფურცლის“ ცნობით; სამრევლო საეკლესიო სკოლების ზედამხედველის მოხსენებით აუცილებელია ოზურგეთის მაზრაში დაარსებულ იქნეს სამრევლო-საეკლესიო სკოლები კიდევ შემდეგ სოფლებში:

ჭანიეთში აჭში, კახურში, ახალ სოფელში, კვირიკეთში, მოედანში, ზედუბანში, გოგორეთში, ფამფალეთში, უჩხუბში, ჭალაში, შუხუთში, გორისფერდში, ამაღლებაში, ზემო ამაღლებაში

გარდა ამისა საჭიროა დაარსდეს წერა-კითხვის 8 სკოლა ოზურგეთის მაზრის სხვადასხვა ნაწილში.

განსაზღვრული სამრევლო-საეკლესიო სკოლების წლიურ შესანახად ნანგარიშევია 5 015 მან. სულ 25 საეკლესიო სკოლისთვის საჭირო იქნება 7555 მან.

1897 წელს 11 თებერვალს გაზ. „ივერია“ წერდა ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გაუწყოთ ჩვენი ქალაქის ცხოვრებიდან: ქართული წიგნების ყიდვა-შეძენა შესაძლებელი გახდა. ერთმა აქაურმა ვაჭარმა კონსტანტინე თავართქილაძემ დაიწყო წელს წიგნებით ვაჭრობა. აქომამდე ნიჟგოროდის, ვლადიმირის და სხვა გუბერნიების რუსები უფრო ავრცელებდნენ აქ ქართულ წიგნებს, ვიდრე ჩვენებურები, ვისურვებთ, რომ ზემოხსენებულს თავართქილაძეს ბეჯითად მეეკიდნოს ხელი ამ საქმისათვის. მართალია ჯერ აქ ქართული წიგნები ნელ-ნელა ვრცელდება... მაგრამ ნუ დავივიწყებთ რომ ეს პირველი ნაბიჯია, უეჭველია, რომ შემდეგში საქმე უფრო რიგიანად იწარმოებს.

...წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი

ბატონ გიორგი კეკელიას ხსოვნას

ცხოვრობდა, შრომობდა, მოღვაწეობდა, ყოველდღიურობდა უბრალოებითა და სითბოთი აღსავსე კაცი. აკეთებდა თავის საქმეს, ქვეყნის საქმეს უპრეტენზიოდ, შეხსენების გარეშე და ამაში მისთვის არაჩვეულებრივი არაფერი იყო. უზარმაზარი შრომითი გზა განვლო ისე, რომ მადლიერების გრძნობით აგვავსო. წავიდა და დაგვიტოვა კაცურკაცობის ცოცხალი ნიმუში, ნამდვილი პედაგოგის ცოცხალი სახე, როგორც თავად იტყოდა: „რისთვისაც ღირდა ამ ქვეყნად მოსვლა“.

გიორგი კეკელია – უნივერსიტეტიდან პირდაპირ შემოქმედის საშუალო სკოლაში, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად; განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგედ; №4 საშუალო სკოლის დირექტორად!!! ასეთი გზის ღირსეულად გავლა ყველას როდი ხელეწიფება, იგი რჩეულთა ხვედრია.

ბატონო კუკური (ასე გიწოდებდით შინაურობაში), 14 იანვარი ხომ თქვენი დაბადების დღეა. დღეს იუბილარი იქნებოდით, 90 წლის გახდებოდით.

თქვენი გაზრდილები თქვენს საყვარელ საქმეს განვაგრძობთ და გვეამაყება, რომ თქვენს გვერდით ვშრომობდით, თქვენთან ერთად ვზრდიდით და ვაფრთიანებდით თაობებს.

თქვენი ოჯახი შრომობს და საქმიანობს, განაგრძობს თქვენს დიდ სახელსა და საქმეს.

ღმერთმა ნათელჰყოს თქვენი სული, ოჯახის, სოფლისა და ქვეყნის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილო ადამიანო! გწამდეთ, კიდევ მრავალ წელს იცოცხლებს სახელი თქვენი და საქმენი თქვენი.

შემოქმედის საჯარო სკოლა, განათლებისა და მეცნიერების თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაცია.

ფონდ „სოხუმთან“ არსებული ოზურგეთის თემებისა და ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოებთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭო გილოცავთ შობა-კალანდას!

ლელა ნაცვალაძე,
საბჭოს თავმჯდომარე,
საკრებულოს დეპუტატი

ყველა ოზურგეთელს, შემოქმედელს ვულოცავ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს, კალანდას. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერებას, სიყვარულს, ხვავსა და ბარაქას.

ხვიჩა წულაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

მრავალ შობა-კალანდას, ჩემო ოზურგეთელებო, კონჭკათელებო!

ღვთის წყალობა და მადლი არ მოგკლებოდეთ, სიყვარულით გვეცხოვროს ერთიან და კლიერ საქართველოში.

გელა (ტარიელ) აროშიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე



გაზეთის ერთგულ მკითხველებს საუკეთესო სურვილებით ვულოცავ შობა-ახალ წელს და გაზეთის 85 წლის იუბილეს.

მრავალი ბედნიერი და წარმატებული წლებით გეხაროთ!

ოზურგეთს და ოზუგეთელებს არ მოშლოდეს სიხარული და იმედით შეხვედროდენ ყოველ „ალიონს“!

პატივისცემით,
გოჩა ჟანიშვილი

ძვირფასო ოზურგეთელეო, ასკანელებო, შობა-კალანდას გილოცავთ, მრავალს დაესწარით. გისურვებთ ჯანსაღ, ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატებებს ცხოვრებაში

ილია მამალაძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

ჩემო ოზურგეთელებო! ჯუმათში მცხოვრებლებო, გილოცავთ შობა-კალანდას! ხვავს, ბარაქას, სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას გისურვებთ, შობის მადლი შეეწიოს თითოეული თქვენგანის ოჯახს.

მერაბ ბერიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

ჩემო საყვარელო ოზურგეთელებო, ლაითურელებო, საქართველოს მოქალაქეებო, სულითა და გულით გილოცავთ შობა-კალანდას! გისურვებთ ყველა იმედის გამართლებას ჯანმრთელობას და ბედნიერებას

რესან გაბაიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

შობა-კალანდას გილოცავთ თხინვალელებო! სოფლის ყველა მცხოვრებს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელს, პედაგოგს, მშობელს გისურვებთ ჯანის სიმრთელეს ბედნიერებას და წარმატებებს.

ბიძინა გობრონიძე,
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დეპუტატი

ინდმეწარმე „თენგიზ გორდელაძე“ გილოცავთ შობა-კალანდას, გისურვებთ ბედნიერებას! შეგახსენებთ, რომ ჩვენს მაღაზიაში (დავით აღმაშენებლის №4) შეიძლება შეიძინოთ სხვადასხვა სახის მაღალხარისხოვანი საღებავები, საიმედო და ექსპლუატაციაგამძლე აკუმულატორები, ორიგინალური აქსესუარები..

აფთიაქი „სალბი“ გილოცავთ შობა-კალანდას!

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას.

მისამართი: ქ. ოზურგეთი, აპ. წულაძის ქ. №13.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ№ 11ა.

შპს „ტექნოსერვისი“ გილოცავთ შობა-კალანდას და გთავაზობთ ჩვენი ფირმის საუკეთესო მომსახურებას.

მისამართი: სოფ. გურიანთა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 იანვარი, ორშაბათი	12 იანვარი, სამშაბათი	13 იანვარი, ოთხშაბათი	14 იანვარი, ხუთშაბათი	15 იანვარი, პარასკევი	16 იანვარი, შაბათი	17 იანვარი, კვირა
მზე, ღრუბელი +6+10	მზე, +10+16	მზე, +9+15	წვიმა +4+11	წვიმა +2+6	მზე, ღრუბელი +5+12	წვიმა +3+6